№ 43

1877—1900

№ 43

ოთხშაბათი 1, მარტი, 1900 წ.

ოთხშაბათი, 1, მარტი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სიფილისი, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე

კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

ტფილისი, 29 თებერვალი

ეხლანდელ საქართველოში სამი უმთავრესი ჯგუფია გლეხობისა, რომლის ნივთიერი ვითარება ჯერ-ჯერობით არ არის მოწყობილი. წინა წერილში უკვე მოგახსენეთ, რომ დროებით ვალდებულ გლეხების შესახებ კანონ-მდებლობას უმაღლესი მთავრობა იხილავს პეტერბურგს, მაგრამ აქამდის არა ისმის რა, თუ რა ბოლო მიეცემა ამ მაღალხარისხოვან საქმეს. მართალია, ეს გადასინჯვა ცალმხრივია და ჩვენს იმედებსა და მოლოდინს ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ სულ არარაობას ეს მაინც ემჯობინება.

მეორე ღონიერი და მრავალი ჯგუფი აქაურის გლეხობისა არის სახაზინო გლეხობა. ამათი ბედიც მოწყობილია, თუმცა მათი ნივთიერი მდგომარეობა გაცილებითა სჯობს დროებით-ვალდებულ გლეხის სვე-ბედსა. 1884 წლიდან დაწყებული სახელმწიფო ქონებათა გამგეობა სწავლობს და ცნობებსა ჰკრებს სახაზინო გლეხების შესახებ; ამ სამის წლის წინად კიდეც შეიმუშავეს კანონი, თუ როგორ უნდა მოეწყოს მათი ბედი მომავალში, ან როგორ და რა პირობით უნდა ემსახურონ სახაზინო გლეხნი მთავრობასა, მაგრამ აქამდის პეტერბურგიდგან არავითარი ამბავი არ მოდის, როგორ ან რითი გათავდა ეს მეორე დიდი საქმე.

მესამე დიდი ჯგუფი გლეხობისა არის ჩვენი ყბად-აღებული ხიზნობა. განთავისუფლდა თუ არა გლეხობა ბატონ-ყმობის უღლიდგან, ხიზნების საქმემაც იჩინა თავი. ამ დროიდგან მოკიდებული 1891 წლამდე გულ-მოდგინედ სწავლობდნენ ხიზნების საქმეს და ბოლოს ეს შესწავლა იმითი დასრულდა, რომ 1891 წ. 3 თიბათვეს გამოიცა პატარა კანონი, სულ ათის მუხლისაგან შემდგარი. გამოქვეყნდა თუ არა ეს პატარა კანონი, მაშინვე ძლიერი ხმა გაისმა მის წინააღმდეგ, კანონი ცალმხრივია, მამულის პატრონი კანონმა ყმად გახადა და ხიზანი გააბატონაო. მთავრობამ შეისმინა ქართველ თავად-აზნაურობის თხოვნა, რომელიც ამბობდა, თუ ჩვენი დაღუპვა არ გინდათ, გადასინჯეთ ეს კანონიო,—და ხელ-ახლად დაიწყეს ხიზნობის ჩხრეკა და კვლევა-ძიება, თუ რა არის ხიზანი და რა უფლება აქვს შემოხიზნულ კაცს სხვის მამულშიო. თითქმის ათი წელიწადი კიდევ მოუნდა ამ გამოკვლევას და ბოლოს, როგორც იქმნა, ესეც დასრულდა. წარსულს თებერვლის თორმეტს რიცხვს სახელმწიფო საბჭოს საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა ხიზანთა და აქაურ მებატონეთა ბედი. საქმის ვითარების ასახსნელად, ან განსამარტებლად მიწვეულ იქმნენ გუბერნიის მარშალი თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი და გაბრ. ბ. საყვარელიძე, იურისკონსულტი სახელმწიფო ქონებათა გამგეობისა.

ამ ნაირად, ჩვენებურის გლეხობის სამის უმთავრესის ჯგუფისა და მამულის პატრონთა ბედი და იღბალი პეტერბურგში უნდა გარდასწყდეს, ამ შორეულ ქალაქს შევყურებთ ყველანი წოდების განურჩევლად, შველასა და ხსნას იქიდგან მოველით. ამ ქამად საქმე იმ ნაირადაა მოწყობილი, რომ აქ, ადგილობრივ, აღარაფერი თავდება და ხშირად უბრალო საქმეც იქ გაიგზავნება საბოლოოდ გადასაწყვეტად.

როდის შეუდგება სახელმწიფო საბჭო დროებით-ვალდებულ და სახაზინო გლეხების შესახებ კანონმდებლობის დამტკიცებას, არაფერი ვიცით და, მაშასადამე, უნდა ველოდეთ ჯერ კიდევ კარგა ხანს. რაც შეეხება ხიზნებს, მათი საქმე კი უნდა გარდაწყვეტილიყო 12 თებერვალს, თუ კიდევ საჭიროდ არა სცნეს რაიმე დამატებითის ცნობების მოკრება, ან რომელისამე უწყების აზრის შეტყობა. სამი კვირა გავიდა აგერ და გაზეთებს კრინტი არ დაუძრავთ, თუ როგორ გათავდა საქმე სახელმწიფო საბჭოში, არც არაფერი საფუძვლიანი არ მიუწერიათ აქედგან წასულთ. მოლოდინით-კი ბევრი მოელის საქმის დასრულებას და სურვილი აქვთ შეიტყონ, 1891 წ. 3 თიბათვის კანონი როგორ შეიცვალა, ან თუ შეიცვალა, ვის სასარგებლოდ: ხიზნებისა, თუ მამულის პატრონთა.

უმთავრესი ძარღვი უკვე არსებულის ხიზანთა კანონისა ისაა, რომ მემამულეს შეუძლიან დაითხოვოს ხიზანი, ხოლო ამ შემთხვევაში ერთი ორად უნდა გადაუხადოს სახლკარ-ნაშენობის დირებული ფასი. ვიდრე ამ ფასს არ შეიტანს მამულის პატრონი, ხიზანი ფეხსაც არ მოიცვლის. 1891 წ. კანონი ცხრა წელიწადია ჰმოქმედობს და ამ ხანში მხოლოდ შვიდი შემთხვევა იყო, რ-ეცა მამულის პატრონმა მოისურვა ამ უფლებით სარგებლობა. თითოეულ შემთხვევაში ხიზნის სახლ-კარი, შენობა დაფასდა; დაფასდა აგრეთვე ხიზნის ამაგი, შემდეგ ერთიორად შეიკეცა ფასი და მებატონეს გამოუცხადა,—გარდაიხადე ხიზნის სასარგებლოდ ორკეცი ფასი და მაშინ გადავასახლებთო. საკვირველი ისაა, რომ ვერც ერთ შემთხვევაში მებატონეებმა ვერ ისარგებლეს კანონით. ორკეცი ფასი ვერ შეიტანეს და ხიზნები ძველებურად თავ-თავიანთ ადგილს დარჩნენ. მაშასადამე, აუარებელი შრომა მომრიგებელ შუა-კაცებისა და საგლეხო საკრებულოსი სრულიად უნაყოფოდ დარჩა. ამას კიდევ ის შედეგი მოჰყვა, რომ გამარჯვებული მხარე გათამამდა და რასაც წინად კანონის შიშით, ან ჩვეულების ძალით იხდიდა, აღარ იხდის. მომეცი ორ-კეცი ფასი და წავალ, შენი მამული აღარ მინდაო, ასეთს პასუხს აძლევს ხიზანი მემამულეს, როცა იგი გადასახადს თხოულობს.

საინტერესოდ მიგვაჩნია დავასახელოდ რამდენიმე მაგალითი იმისი, თუ როგორ ფასდებოდა ხიზნების ქონება. გორის მაზრის ს. მღებრიანის ერთი ხიზნის შენობა დაფასდა 600 მ., ორკეცი გადასახადი იქნება 1200 მ. ამავე მაზრის ს. ხალების ხიზნის სახლკარი დაფასდა 510 მ., ერთი ორად 1020 მან. დუშეთის მაზრის ს. არაშენდას ხიზნებისა: ერთისა—300 მან., მეორისა—2780, მესამისა—3728 მან. და სხვა. რასაკვირველია, ისეთი ხიზნებიც არიან, რომელთა ქონების ფასი ათ თუმანს არ აღემატება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვერც ერთი ჩვენებური მემამულე ხიზანთა კანონით ვერ ისარგებლებს, როცა ხიზანს ორას-სამასი თუმანი უნდა მისცეს შენობის ფასი.

ნამდვილად ასეც მოხდა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ ცხრა წლის განმავლობაში ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ მემამულეს ხიზანი გადაესახლებინოს მამულიდგან კანონის ძალით. ზემოდ მოხსენებული შვიდი შემთხვევა ხიზანთა ქონების დაფასებისა დარჩა უნაყოფოდ. ვერც ერთმა მებატონემ ვერ შესძლო შეეტანა ხვედრი გარდასახადი და ძალა-უნებურად დაემორჩილა ბედს.

ამ გვარად ცხრა წლის მოქმედება ხიზანთა კანონისა გამოვიდა უნაყოფოდ, თითქოს არც კი უმოქმედნიაო. ძველის კანონის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა და ახალი რას მოგვიტანს, არ ვიცით.

ა. ფრონელი.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 27 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე სენატორი ტ. ს. ს. ბ. ვრასკი პეტერბურგიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** ტფილისში 15—22 თებერვლამდე ყვავილით ავადმყოფი ყოფილა 2, წითელათი 12, ყელის ქირვებით 6 და ხურვებით 3 კაცი.

*** „კავკასს" ქუთაისიდგანატყობინებენ, რომ ადგილობრივ მთავრობას აღუძრავს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტყიბულის მცხოვრებლებს მიეცეთ ჯილდო ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდგან იმ ადგილების ნაცვლად, რომელიც ჩამოერთვათ ნაქერალის გზის ლიანდაგის გასაკეთებლად.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ უკვე დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. ამ ნიხრით 28 თებერვლიდგან გირვანქა ხორცი ეღირება 10 კაპ.

*** ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი ი. ვ. ვერეტენიკოვი 27 თებერვალს პეტერბურგიდგან ტფილისში უკვე დაბრუნდა.

*** როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, 1897 წელში ქალაქს უძრავ მამულების დაფასების სიებიდგან გამოურიცხავთ დაფასების გარდასახადებისაგან სულ 1982 მამული მცირე შემოსვლისაგამო. ეს მამულები დამფასებელ კომისიას 410,505 მანეთად დაუფასებია,

*** ტფილისის საგუბერნიო ექიმი ბ-ნი კრიდნერი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ნაწილის მმართველის თანაშემწის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად, ხოლო მის ადგილზედ კი ბ-ნი მაკაროვია განწესებული.

*** როგორც პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდგან დროებით ვარშავაში წასულა.

*** აი, ეს ამბავი ცხადად გვიჩვენებს, რა უბედურს გარემოებაშია ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები. დღესაც კიდევ იარმუკაზედ ხშირად იყიდება ვრცელი ხელთ-ნაწერი წიგ-

ნები და ზოგს მათგანს მყიდველნი სახევ ქალალდადაც ჰხმარობენ. გუშინწინაკ ვნახეთ ერთი ვრცელი ძველი ქართული ხელთ-ნაწერი, რომელიც საბრალოდ არის დახეულ-დაფხრეწილი. ეს ხელთ-ნაწერი სოკრატისა და სხვათა ბრძენთ თქმულებას შეიცავს. თარგმნილია ვახტანგ მეფის დროს ერასტი თურქისტანიშვილისაგან.

*** 3 მარტს 30 წელიწადი შესრულდება, რაც ნიჭიერი პროფესორი, აკადემიკოსი თავ. ი. რ. თარხნიშვილი სამეცნიერო—სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობს.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, 1 მარტიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბორჯომის შტოზე სადგურ ბორჯომსა და სუმბათოვის შუა ადგილას გაიხსნება რკინის გზის ახალი ბაქანი „ქართანეთი“, რომელზედაც შეჩერდებიან მუშა თუ სახალხო მატარებლები ხალხის მისაღებად და მოსასხმელად.

*** 10 თებერვალს ქალაქ გორში ინჟენერ ნოვომეისკის თავმჯდომარეობით, მთავარ მართებლის განკარგულებით შემდგარმა კომისიამ დაათვალიერა ქალაქ გორის ის ნაპირები, საიდამაც ადიდების დროს მდინარე მტკვრისაგან ქალაქს უბედურება და ზარალი მოელის ხოლმე, კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ ქალაქმა გაამაგროს მტკვრის მარცხენა ნაპირი ისე, როგორც მარჯვენა ნაპირია გამაგრებული ამიერ-კავკასიის რკინის გზის მართველობისაგან. ამ საქმის შესახებ მოხსენება კომისიამ პეტერბურგში მთავარმართებელს უკვე წარუდგინა, ხოლო საგუბერნიო მართველობის საამშენებლო განყოფილებას დაევალა შეადგინოს პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა გორში მტკვრის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად.

*** კვირას, 27 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, მილიუტინის ქუჩისმცხოვრებელნი შეაშფოთა ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ: გაიგონეს რევოლვერის ხმა და ხალხი კარში გამოცვივდა. ჰნახა, რომ ქუჩაში ეგდო სისხლში ამოსვრილი ტფილისის მცხოვრებელი მ. სოსინი. პოლიციის მოხელეს დამნაშავე უკვე შეეპყრო. დამნაშავე აღმოჩნდა ვიატკის გუბერნიის მცხოვრებელი იაკობ ფომინი. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ი. ფომინი დიდიხნიდგან ეძებდა თურმე შემთხვევას, რომ სოსინი მოეკლა, რადგანაც ამ ფომინის ხასა გადაებირებინა და სახლში აცხოვრებდა. ფომინი თავისის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 27 თებერვალს ჩასაფრებოდა შინისაკენ დაბრუნებულს სოსინს, მიჰპაროდა უკანიდგან და სამჯერ ზურგში რევოლვერი დაეხალა. დამნაშავე დაპატიმრეს, ხოლო მძიმედ დაჭრილი სოსინი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. იმის მორჩენა მეტად საეჭვოა თურმე.

*** „Сѣверный Курьеръ“-ში ვკითხულობთ: ამ ჟამად სახელმწიფო საბჭო შეუდგა ერთ, ამიერ-კავკასიისთვის მეტად საყურადღებო საგნის განხილვას. ეს საგანი ხიზანთა მდგომარეობას შეეხება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამიერ-კავკასიაში, მარტო ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში 20 ათასი კომლი, ანუ 100 ათასი სული ხიზანი ითვლება (აქედგან მარტო ტფილისის გუბერნიაში 15 ათასია), რომელნიც მემამულეთა სრულ ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, რასაც ხშირად ისეთი სამწუხარო მოვლენა მოსდევს, როგორც გლეხების მიერ ფეოდალის მოკვლა (თავ. დიასამიძის საქმე) ან ფეოდალის მიერ გლეხის მოკვლა (აზნაურის კეზელის საქმე)(?!) ადვილად მიჰხვდებით, რომ ხიზანთ საქმე ისეთ ისტორიულ ანაქრონიზმს შეადგენს, რომელსაც განათლებულ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამ საქმის გამო კავკასიიდგან დაიბარეს ქართველ მემამულეთა მდიდარი წარმომადგენელნი: ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი თავ. შერვაშიძე და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი მუხრან—ბატონი, აგრეთვე ხიზანთა საქმის საუკეთესო მცოდნე, მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული ბ-ნი საყვარელიძე. როგორც შევიტყეთ, სახელმწიფო საბჭო ამ დღეებში დაასრულებს ამ საგნის განხილვას და თავისს გარდაწყვეტილებას მის იმპერატორებითს უდიდებულესობას წარუდგენს განსახილველად.“

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მისი უმაღლესობა სპარსეთის შახი ამ ზაფხულს ევროპაში მოგზაურობას აპირებს. მაისში შახი ამიერ-კავკასიის გზით ტფილისს ჩამოვა, აქედგან ბორჯომში ავა, სადაც რამდენიმე დღეს დაჰყოფს. 15 მაისს შახი პეტერბურგში წავა, ხოლო იქიდგან გერმანიაში. რამდენიმე ხანს იქ შახი სამკურნალო წყლებზედ დაჰყოფს, შემდეგ პარიჟის გამოფენას დაათვალიერებს და ლონდონში გადავა, იქიდგან პარიჟით, ვენით კონსტანტინეპოლით და ბათუმით უკანვე თეირანში დაბრუნდება. შახის მგზავრობა სულ ნახევარ წელიწადს გასტანს. მის უმაღლესობას თან ეახლებიან მრავალ-რიცხოვანი ამალა, ორი მინისტერი და რამდენიმე პრინცი. მის უმაღლესობას აზრადა ჰქონია თან მრავალი საჩუქრები წაიღოს ევროპის იმპერატორებისა და მეფეებისათვის მისართმევად.

*** ქალაქის გამგეობამ იმ მოიჯარადრეთ, რომელთაც ქალაქის ელექტრონით განათება იკისრეს, ამ საქმის შესახებ საბოლოო პირობების გამგეობაში წარსადგენ უკანასკნელ ვადად 16 მარტი დაუნიშნა.

*** 29 თებერვალს, ნაშუაღამევის ასე 1 საათზედ გაუჩნდა ცეცხლი კუკიაში, „ტრამვაის“ ვიწრო ქუჩაზედ პანკინის ორ სართულიანს სახლს; ცეცხლის ალმა საშინელის სისწრაფით შთანთქა მთელი შენობა. აქედგან მოედვა ცეცხლი კადამცევის სახლს და დაიწვა ისიც. ამ ორ სახლში ოც-და-ათ ოჯახამდინ იდგა. ორივე სახლების პატრონთა და ოც-და-ათი მდგმურის ყოველივე კუთვნილი ნივთი შთანთქა გაშმაგებულმა ცეცხლმა.

დაშავდა რამდენიმე ადამიანი, ხოლო სავსებით დაიწვა ორი ადამიანი: მებუხრე პადალკინის მეუღლე მართა და მისივე ხუთის წლის ქალიშვილი. ამათის დამწვრის ტანის მხოლოდ მცირეოდენი ნაშთიღა იპოვნეს. როცა მართა პადალკინისა გარეთ გამოვარდნილიყო, უცებ მოჰგონებოდა, რომ მას დამალული ჰქონდა სამ კვდრო სასიცოცხლოდ შენახული ხუთი თუმანი.

„ვაიმე ფული დამრჩაო“ დაეყვირა საცოდავს და შებრუნებულიყო ოთახში, საცა ცეცხლის ალი მოეხვია და დაიღუპა ბეჩავი თავისის შვილით. დღეს, როგორც მთლად 30-ი მდგმური, ისე პადალკინის შვიდი შვილი ულუკმა-პუროდ არიან დარჩენილნი.

დროით გაეგო ცეცხლის მქრობელს რაზმს, მაგრამ—რა—„ტრამვაის“ პარკიდგან, ანდრეევის ქუჩაზედ ჩაფლულიყვნენ ცხენები და ეტლები და ვერაფრით ვერ ამოეყვანათ და წყლის მიტანა ხომ ამ უშველებელ ტალახის, გამო (ნახევარ ადლზედ მეტია) სრულიად შეჩერდა.

ერთი რამ არის სამწუხარო და განსაცვიფრებელი: ნუ თუ ქალაქის გამგეო იმისთანა ქუჩებს კი ისე ღვთის ანაბარად აქვს დატოვებული, სადაც ასე მჭიდროდ არის დასახლებული ხალხი? განა ამ ადამიანების დაწვა სამუდამო ცოდვად არ ედება ჩვენის ქალაქის მამებსა და ბატონებს?!.

*** **სოფ. კადრენახი.** (სიღნაღის მაზრა). 19 თებერვალს სოფ. კარდენახში სცენის მოყვარეთაგან გაიმართა წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით. წარმოადგინეს „დრონი მეფობენ“. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ელენე ანდრონიკაშვილი, მაკრინე ვახნაძე, თებრო დურუჯიშვილი, ნინო ნაცვლიშვილი და ბ-ნნი ქუდუხელი, ილია ანდრონიკაშვილი, ჭავლიშვილი, ივრელი, სამადაშვილი და მ. ვახნაძე. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

*** საგარეჯოდგან იტყობინებიან, რომ იქ ამ ბოლოს დროს დიდი თოვლი მოსულა.

*** შაბათს, 26 თებერვალს, ვერის ხიდიდგან უცაბედად გადავარდა მტკვარში ტფილისის ოლქის სასამართლოს მოსამსახურე დ. ვორონინი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის მცხოვრებელმა ი. ტოროშელიძემ გადაარჩინა. ვორონინი მეტად დაშავებულა.

*** შაბათს, 26 თებერვალს, პოლიციის მესამე ნაწილის მოხელე გაიდუკოვ და ტფილისის მცხოვრებელის ანტონოვის მცირე წლოვანი ქალი შუშანიკა ძაღლმა დაჰკბინა. ძაღლი მოჰკლეს და აღმოჩნდა, რომ ცოფიანი ყოფილა. დაკბენილები პასტერის ცოფის ასაცრელ სადგურში გაჰგზავნეს.

## წერილი ხევიდგან

(დუშეთის მაზრა).

ამ 10 წლის წინად რომ კაცს გონების თვალით გადაეხედნა ჩვენი ხევთიულეთისათვის, ადვილად შენიშნავდა, რომ აქაური ხალხი ცოდნის მხრივ უკან ჩამორჩენილი იყო, მეტადრე მთიულეთი; მაგრამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ხალხი შესამჩნევად გამოიცვალა და წინ მსვლელობის გზას დაადგა. ამისი უმთავრესი მიზეზი არის კავკავის ქართული სკოლა, დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ 1888 წელს. ვგონებ, კავკავის ყველა ქართველი დამემოწმება, რომ ამ სკოლის დაარსებამ დიდი სათვალსაჩინო სარგებლობა მოუტანა საზოგადოდ ქართველობას და კერძოდ ჩვენ მოხევეებსა. დღეს ჩვენში ბევრია ასეთი, რომელთაც კავკავის ქართულ სკოლაში დაუმთავრებიათ სწავლა; იგი სკოლა თუმცა ერთ-კლასიანია, მაგრამ იქ ნასწავლნი რომელსამე შუათანა სასწავლებლის 3—4 კლას დამთავრებულებს არ ჩამოურჩებიან განვითარებით. შემდეგ სოფ. სტეფანწმინდაშიაც გაიმართა სამრევლო სკოლა. აქ პირველ მასწავლებლის გადაყვანის შემდეგ მასწავლებლად მოვიდა აწ კავკავის ქართველებში მღვდლად მყოფი გიორგი ნათაძე, რომელიც სამაგალითოდ ზრუნავდა სკოლის წარმატებისთვის. იმის დროს დაარსდა სტეფანწმინდაში სამკითხველო და წიგნთსაცავი. ამას მოჰყვა სოფ. სნოში ადგილობრივის მღვდლის გ. სირაძის მეცადინეობით სამრევლო სკოლის დაარსება. სწავლა დიდხანს არ ყოფილა იქ, ვინაიდგან ხალხს სწავლის წყურვილი დიდად ჰქონდა და სკოლის შენობის სივიწროვე-კი ხელს უშლიდა. ამიტომ სნოს მცხოვრებთ განაჩენით დაადგინეს, სწავლება შეჰერდეს დროებით, ვიდრე სკოლის შენობას არ გაგვიფართოვებთო, და ეს საქმე დამთავრდა გასულს წელს, რაიცა უკვე აცნობეს „მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორს ბ-ნ მამინაიშვილს.

ამ წელს დაარსდება კობის, აბანოს და უანობის სამრევლოთათვის სკოლა სოფ. კობში. დარჩება უსკოლოდ ხევში მარტო სიონის სამრევლო, მაგრამ სიონელებსაც არ უნდათ თავიანთ მეზობელ სოფლებს უკან ჩამორჩნენ. ამისათვის გადასწყვიტეს, რომ ამ 1900 წლის იანვრიდგან თავიანთ საზოგადო ხარჯით აშენებულს მაგარ სასმელებით სავაჭრო სახლში ვაჭრობის ნება აღარავის მისცენ და მომავალს გაზაფხულზედ სკოლად გადააკეთებინონ ეს სახლი.

გაბრიელ ბედოშვილი.

**ს. პერევისა** (შორაპნის მაზრა). კარგა ხანია მას აქეთ, რაც პერევისის საზოგადოების მცხოვრებთა შორის მითქმა-მოთქმა არსებობს იმის შესახებ, რომ ადგილობრივი სამინისტრო სკოლა და სასამართლო მთავრობის ნება-რთვით და დახმარებით გადატანილ იქმნას პე-

# ფელეტონი

## განჯის ხანი შაჰვერდი

(მოლას ნაამბობი).

ჩემ თათრულის ენის მასწავლებელს, აჯი ირზას, ჩვეულებად ჰქონდა გაკვეთილის შემდეგ ეამბა რამე თათრების ცხოვრებიდგან. მოხუცი აჯი ირზა თათრებში ფრიად პატივცემულ კაცად ითვლებოდა, რადგანაც მოვლილი ჰქონდა ყველა ის ადგილი, რომლების თაყვანის-ცემაც ანიჭებს მაჰმადიანს მაშადის, ქერბალაის, აჯის და სხ. წოდებას. ერთხელ მან, ჩვეულებრივ, ერთი პატარა ამბავი მიამბო განჯის სახანოს ისტორიიდგან. აი ეს ამბავი.

„დიდმა ხანმა განვლო, ქეშეშ (ღვდელი),—ესე დაიწყო მოლამ თავისი მოთხრობა,—იმ ამბის შემდეგ, რომელიც უნდა მოგითხროთ ეხლა. ეს ამბავი ეკუთვნის იმ დროს, როცა განჯა თავისუფალი იყო და მისი ხანი არც სპარსეთის და არც გურჯის ფადიშაჰს (საქართველოს მეფე) არ უდრეკდა თავს.

„განჯაში სცხოვრობდა ერთი მდიდარი სოვდაგარი (ვაჭარი), რომელსაც, მგონია, იბრაგიმ-აღა ერქვა. ვშეძლებით თითონ ხანს არ ჩამოუვარდებოდა. მისს ყმებს, ოქროს, ფარჩასა და საკლავ საქონელს თვლა არა ჰქონდა. მთელ დუნიაზედ (ქვეყანა) იყო იბრაგიმის სიმდიდრის ხმა გავარდნილი. თითონ ხანი და გურჯის ფადიშაჰი სესხულობდნენ ხოლმე იმისაგან ფულს, სხვა-და-სხვა თავადები ფულზედ ყმებს უცვლიდნენ. თუმცა ხანს მიღებული ჰყავდა, მაგრამ გულში-კი ეჯავრებოდა და სცდილობდა როგორმე მოეგდო ხელში იმისი სიმდიდრე. იბრაგიმმა ეს კარგად იცოდა და მუდამ ჰფთხილობდა. ბევრჯელ დაეცნენ თავს ხანისაგან შეჩენილი ავაზაკები, ბევრჯელ გაიმარჯვა იმათზედ იბრაგიმმა, მაგრამ ბოლოს ის მაინც ღალატობის მსხვერპლად შეიქმნა. იმისი ცოლი ელდისაგან გარდაიცვალა. იმათი შვილები, თხუთმეტის წლის ირზა და თორმეტის წლის ქალი ლეილა, აუარებელ ქონების მემკვიდრენი გახდნენ. ირზამ მამის ხელობას მოჰკიდა ხელი და თუმცა პატარა იყო, მაინც კარგად წაიყვანა საქმე. ლამაზ ლეილასთვის დღესასწაული იყო, როცა ძმას მშვიდობით დაბრუნებულს ჰხედავდა ხოლმე სახლში.

„ბედნიერად სცხოვრობდენ დაძმანი. მაგრამ ქვეყანაზედ არა არის-რა ხანგრძლივი. ბედს ვერსად წაუვა კაცი; რაც ალლაჰმა (კურთხეულ იყოს სახელი მისი!) ჩასწერა ცხოვრების წიგნში, ის უეჭველად უნდა ასრულდეს,—განაგრძო მოლამ.—ირზამ დაარღვია შარიათი (კანონი), გაჰქელა კურანის*) წმინდა სიტყვები: „ღვინო ბოროტებაა, ეშმაკის გამოგონილია, იგი აშორებს ღმერთსაო.“ *) ხაჩ-ფარასტებმა (ჯვარის თაყვანის მცემელნი) შეაყვარეს ღვინო და მან დაიწყო ლოთობა. ერთხელ სახლში ძალიან მთვრალი დაბრუნდა და ჩვეულებრივ მიეგება ძმას, დაჰბანა ხელ-პირი და დააწვინა ლოგინში. ეშმაკმა დაუშხო ირზას გონება და მან არა-ძმურებ დაუწყო დას ალერსი. ლეილა მიხვდა ძმის განზრახვას, მოიწადინა დასხლტომოდა როგორმე ხელიდგან, მაგრამ ამაოდ. ამ ნაირად ირზას ღვინომ დაარღვევინა ფეიღამბარ (წინასწარმეტყველი) მუჰამმადის *) სიტყვები: „და არ უნდა შეირთო ცოლადაო“**).

„მეორე დღეს ირზას აღარა ახსოვდა-რა. როდესაც მან და დაღონებული დაინახა, შეეკითხა:

—„ლეილა, რადა ხარ დაღონებული, იქნება გათხოვება გინდა? მითხარი ვინაა ის ბედნიერი, რომ ჩემის ქონების ნახევარი მივცე?

—„გათხოვება არ მინდა, სასიხარულო-კი არა მაქვს-რა მას შემდეგ, რაც ნამუსი ამხადე.

—„რას ამბობ, ლეილა, არ მესმის? გეხვეწები გამაგებინო, რა ამბავია? როდესაც ძმამ შეიტყო, რა საძაგელი საქმეც ჩაედინა, ამოიღო ხანჯალი, დაიცა გულში და იქვე სული განუტევა.

*) ქართველები ამ წიგნს „ყორანს“ ვეძახით. ეს შეცდომაა, რადგანაც თათრებს არა აქვთ ასო „ყ“. ამ წიგნს ათამდე სახელი აქვს, სხვათა შორის, „კორანი“ და უფრო ხშირად „კურანი“. „უ“ უნდა ცოტა გრძლად ითქვას. საკუთარი სახელი მუდამ უნდა წარმოითქვას ისე, როგორც ხმარობს ერი და არა გადამახინჯდეს. მადლობა ღმერთს, ანბანი მდიდარი გვაქვს და შიგ „ყ-ც“ და „კ-ც“ მოიპოვება. ყორანი ფრინველია და რას ემგვანება, რომ ამ ფრინველს დაუძახოს ვინმემ „კორანი“. ქართველი კაცი ამ სიტყვის გაგონებაზე ბევრს იცინებს, იცინიან აგრეთვე თათრები და ძალიანაც სწყინთ, როდესაც ვამბობთ „ყორანს“ და არა „კორანს“ ანუ კურანს, სწყინთ იმისთვის, რომ „კორანი“ წმიდა წიგნის სახელია და უნდა გამოითქვას ისე, როგორც ხმარობენ არაბები, ხოლო არაბულად ალ-კურანს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ბერძნულად „ბიბლია“-ს (წიგნი).

*) „კურანი“ II, 216; V, 92, 93.

**) მუჰამმად არაბული სიტყვა და ნიშნავს: დიდებული, ქებული, ბრწყინვალე, წარჩინებული. როდესაც ჩვენ ვამბობთ „მაჰმად“, თათრებს ძალიან სწყინთ.

***) „კურანი“, IV, 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევისიდგან ჭიათურაში. სასამართლოს შესახებ არას ვიტყვი, რადგანაც იმას ისედაც ბევრი გამოუჩნდება გულ-შემატკივარი, მხოლოდ სკოლის შესახებ უნდა ვთქვა, რომ ეს განზრახვა ძალიან კეთილი და სასარგებლოა, და აი რად: მართალია ჭაერი პერევისაში სანაქებოა და იგი ამ მხრივ ბევრით მაღლა სდგას ჭიათურაზედ, სადაც ზაფხულობით სიცხე და შავი ქვის მტვერი სულსა და გულს უხუთავს კაცს, მაგრამ რა ჰქნას ცალიერმა ჭაერმა? პერევისის სკოლა ისეა დაშორებული საზოგადოების ზოგიერთს სოფელზედ, რომ, რაც ეს სკოლა დაარსებულა, ხუთი ბავშვი არ გაზრდილა ამ სოფლებიდგან. გადასახადს-კი ტყუილად იხდიან მცხოვრებლები. თუ ჭიათურაში გადაიტანეს ეს სკოლა, მაშინ უმეტესი ნაწილი სოფლებისა უფრო დაახლოვებული იქნება და, რა თქმა უნდა ისარგებლებენ კიდეც. მხოლოდ სასურველია, რომ ჭიათურაში ისეთ ადგილს მოათავსონ სკოლის შენობა, რომ იგი მოშორებული იყოს დუქნებს და ჩალანდრების უწმაწურ და უაზრო სიმღერალაპარაკს. ამ გვარი ადგილი არის ეგრედ წოდებული «ბურდვათი».

მას წინად ს. დარბაიძეებსა და სკინდორში საქონლის ჭირი გაჩნდა, რომელმაც იმსხვერპლა ხუთი-ექვსი სული საქონელი. რადგან საჭირო ზომები მალე მიიღეს, ადვილად იქმნა იგი მოსპობილი.

20 იანვარს პერევისელმა გლეხმა კომოთე საითიძემ უცაბედად რევოლვერით დასჭრა მხარში თავისივე ძმა ტარასი. 26 იანვარს ამავე სოფელში გარდაიცვალა ყველასაგან პატივცემული აზნ. იოსებ ალექსის-ძე წერეთელი. განსვენებული კარგა ხანს ჰმსახურობდა სოფლის მწერლად. მის სანაქებოდ და სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ ეკუთვნოდა იმ ერთგვარს ჯგუფს «მოსე მწერლებისას», რომელთა რიცხვიც ასე გამრავლდა ჩვენს სოფლებში. იგი ისეთის სიბრალულითა და პატივის ცემით ექცეოდა ყოველ ადამიანს და ნამეტნავად გლეხს, რომ აქაურებს არავის არ ახსოვს არც ერთი მაგალითი, რომ მას ვისთვისმე რაიმე საქმეში უსიამოვნება მიეყენებინოს სამსახურის დროს, ან ისე. აგი ამიტომაც ასე გულ-მხურვალედ დასტიროდ მას მთელი საზოგადოება, წოდების განურჩევლად. გარდა ამისა განსვენებული ძალიან მოყვარული იყო ქართულის მწიგნობრობისა. მიზეზი მისის ასე უდროვოდ წუთი-სოფლის გამოსალმებისა იყო მისი მეუღლე, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც გარდაიცვალა. მის გარდაცვალების შემდეგ, განსვენებული რამდენსამე კვირას კარში არ გამოსულა, სულ შინ იჯდა და წასტიროდა დაკარგულს ბედნიერებას. ამის შემდეგ მას ხეირი აღარ უნახავს სიკვდილამდის.

ვანო გიუნაშვილი.

**ს. ქოდალო** (უკანა-მხარი). მთელს უკანა-მხარში სკოლა არსებობს მხოლოდ ორ სოფელში—კაკაბეთსა და ყანდაურაში. დანარჩენი სოფლები ღრმა ძილს არიან მიცემულნი. ჭკუის მოძრაობა სრულიად განდევნილია იქიდგან და გაიძახიან: «რად გვინდა სკოლა, ჩვენი გუთანიც კარგად გვაცხოვრებსო». უკანამხრელები საზოგადოთ სიძულვილით შეჰყურებენ სწავლას, მაშინ როდესაც წინა-მხარი ღრმად დაუფიქრდა ამ საგანს, შეიგნო სარგებლობა სწავლისა და ზოგიერთ სოფლებში მეორე სკოლებიც დახსნეს. რას უნდა მიაწეროს კაცმა უკანამხრის ასეთი დაქვეითება, თუ არ იმას, რომ არა ჰყავს გულ-შემატკივარი ამ საქმეს და გლეხი-კი ისეთი დაუდევარია, რომ თითონ თავისს დღეში არას იფიქრებს.

უკანა-მხარში თვალ-საჩინო ადაგი უფრო ს. ქოდალოს უჭირავს. ეს სოფელი არის ახალშენი, გაშენებული აქაური მებატონის თ-დ ივან მალხაზის ძის ანდრონიკაშვილისაგან, რომელიც იმ დროს ფრიად გავლენიანი კაცი ყოფილა. განსვენებულს სხვა-და-სხვა სოფლებიდგან—წინამხრიდანაც-კი გადმოუსახლებია გლეხები, უფრო მომეტებულ ნაწილად ს. ფხოვლიდან, რომელიც ოდესმე დიდი ქალაქი ყოფილა, რასაც ამტკიცებს მრავალი ეკკლესია და ციხე-გალავანნი, ზოგი მთლად და ზოგიც ნახევრად დაქცეულნი. მათ შორის შუა სოფელში აღმართულია მაღალი, მრგვალი, მთლიანად შენახული, მხოლოდ უსახურაოდ, კოშკი, რომელიც ეხლაც მედიდურად გადმოჰყურებს გომბორის მთის კალთებიდგან ახლომდებარე სოფლებს.

განსვენებულს ანდრონიკაშვილს უბუქებია ყველასათვის საკუთრებად მამული, დაუსახლებია და დაურქმევია სოფლისთვის სახელად «ვარდის-უბანი». ს. ქოდალო მდებარეობს მშვენიერს მაღლობ, ვაკე ადგილზედ. ჰავა მეტად საღი აქვს, წყალი დაუფასებელი და ნიადაგი ნოყიერი. სოფელი გარშემორტყმულია ტყეებით და მშვენიერი სანახავია. ტყეებით მდიდარია ეს ადაგი, მაგრამ უზომოდ ხმარებამ სულ ამოაგდო. მარტო უკანა მხარი კი არ სარგებლობდა ამ ტყეებით, მთელი ქიზიყი აქედგან მიდიოდა ითლად. ეხლა ეს ორი წელიწადი იქნება, რაც შეჰკრეს, აღარ უშვებენ შიგ, რის გამო მცხოვრებნი გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი. აქაური გლეხი, როგორც საზოგადოდ ქართველი, ძალიან უზრუნველია; ტყე ხომ ახლო მაქვს, რად მინდა ერთბაშათ მოვიტანოვო და აი სწორეთ ამ იმედმა უცებ უდალატა გლეხს და ეხლა სიცივით იხოცებიან ამ ზამთარში, მით უფრო, რომ სადგომები არა აქვთ კარგი. ქოდალოში არსებობს მომრიგებელი სასამართლო. აქვე სცხოვრობენ ბოქაულნი—პოლიციისა და სასამართლოსი, ოთხი კომლი თავადნი—ანდრონიკაშვილები, 15-ოდე კომლი სომეხი და გლეხნი ორას კომლამდე.

გლეხობა საკმაოდ შეძლებულია. უმთავრესი წყარო ცხოვრებისა ხვნა-თესვაა. დიდ-ძალი პური, ქერი, სიმინდი და ფეტვი მოჰყავთ, რადგან, ნიადაგი ნოყიერია. ვაზის მოშენებას ცოტა ყურადღება ჰქონდა მიქცეული, ასე რომ აქაური გლეხი პურზედ ყიდულობს წინამხარში ღვინოს, სადაც პური ნაკლებ და ხანდახან სულ არ მოდის, ღვინო-კი მუდამ, როგორც უკანა-მხარში პური. უკანა-მხრელმა გლეხმა, შეიგნო-რა, რომ უღვინოდ არც მკვდარსა და არც ცოცხალს არა აქვს შნო, მიჰყო ხელი ვაზის მოშენებას და თანდათან წინ მიდის ეს საქმე, რადგან ნიადაგი ხელს უწყობს.

შარშან გაზაფხული ძლიერ წვიმებიანი იყო აქ და საკმაოდ აზარალა მოსავალი, მაგრამ წინა-მხარი მაინც აქედგან ეზიდება პურს. ვაჭრობა, როგორც სხვაგან საზოგადოთ, აქაც სომხეთახელშია. ვაჭრობისაგან როგორც სხვა სოფელშია დაწიოკებული ხელმოკლე კაცი, ისე აქაც.

სამწუხარო მოვლენად ჩაითვლება ქოდალოსთვის სკოლის უქონლობა. ახლად გადმოსულმა მღვდელმა მ. აპოლლონ გოდერძიშვილმა თავი გამოიდო ამ საქმისათვის, ბევრს ეცადა, მაგრამ ამაოდ. შეჰყარა რამდენჯერმე ხალხი, აუხსნა სკოლის საჭიროება და სწავლის სარგებლობა, მუქთად დაათმობინა სკოლისათვის შენობა კნ. ნადეჟდა დიმიტრის ასულს ანდრონიკაშვილისას, აღუთქვა ფულად დახმარება საეპარქიო სასწავლებლის საბჭოდგან, ერთმა თავადიშვილმა—ლუკა ანდრონიკაშვილმა აღუთქვა ყოველწლივ ხუთი თუმანი სკოლის სასარგებლოდ, უნდა გამართულიყო ხელის მოწერა და ბევრმა განაცხადა მონაწილეობის მიღების სურვილი, სასწავლო ნივთების და სკოლის პირველ მოწყობისათვის რაც ხარჯი დასჭირდებოდა, ამას აძლევდა ზემოხსენებული საბჭო, მაგრამ ქოდალელებმა შეაგდეს ქვა და შეუშვირეს ზურგი—მღვდელი თავის ჯიბისთვის სცდილობსო, გაიძახოდნენ, და ამ გარემოებაში ჩავარდნილმა მღვდელმაც თავი დაანება სკოლის საქმეს ჯერ-ჯერობით.

სკოლა იქით იყოს, ეკკლესია ხომ აუცილებელი საჭიროებაა ქრისტიანთათვის, მაგრამ აგერ ათი წელიწადია, უეკკლესიოდ სხედან, ერთი უბანი მეორეს არ უდგება და არიან ასე უეკკლესიოდ.

ლაკბის-პირელი.

„ლეილა ჩაიკეტა სახლში და არარავის ეჩვენა. ცხრა თვის შემდეგ მიეცა მას ვაჟი. მაშინვე ჩააცვა ტანისამოსი, ტანზედ შეაბა ბლომად ოქროები შეახვია შალში და ჩუმად დასდო ერთის მდიდარის კაცის სახლის კარებთან. იმ კაცმა არ მოინდომა ბავშვის აყვანა და გარდასცა იგი ერთს ოქრომჭედელს, სახელად შაჰვერდის. ოქრომჭედელი უშვილო იყო, სიხარულით იშვილა ბავშვი და სახელად ალლაჰვერდი (ღმერთმა მომცა) დაარქვა. როდესაც ყმაწვილი წამოიზარდა, ისწავლა მამობილის ხელობა და შეიქმნა ცნობილი, როგორც ალლაჰვერდი-შაჰვერდი-ოღლუ.

„ერთხელ ალლაჰვერდის სახელოსნოსთან გაიარა მდიდრულად ჩაცმულმა ქალმა. ლამაზმა ხელოსანმა მიიქცია ქალის ყურადღება. გაცნობის მიზეზის მოსაგონებლად, ქალმა გასტეხა თავისი ბეჭედი და მეორე დღეს მიუტანა ოქრომჭედელს გასაკეთებლად. ამ დღიდგან დაიწყო მათი ნაცნობობა, ცოტა ხნის უკან განუცხადეს ერთმანეთს სიყვარული და ერთ ღამეს ქორწილი გარდაიხადეს.

„ქორწილის მეორე დღეს, ტანისამოსის ჩაცმის დროს, ალლაჰვერდის ჯიბიდგან როგორღაც ოქრო ამოუვარდა და გაგორდა ქალის ფეხქვეშ. ქალი დაეწოდა ოქროს, უნდოდა ქმრისათვის მიეცა, მაგრამ ისევ ხელში დაიჭირა და გაკვირვების ხმით ჰკითხა:

—„ვინ მოგცა, ალლაჰვერდი, ეს ოქრო?!

„რაც გაეგონა ოსტატისაგან თავისის ვინაობის შესახებ, ვაჟმა ყველაფერი უამბო. „იმ ოქროებიდგან მარტო ეს-ღა დარჩა და სახსოვრად შევინახეო“, დაათავა მან თავისი მოთხრობა.

ქალის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ამ ამბის შეტყობამ ნაცრის ფერი დაადო.

—„ალლაჰვერდი, წამოიძახა ქალმა აკანკალებულის ხმით: იცოდე კარგად, რომ შენ ხარ ჩემი და ჩემის უბედურის ძმის ნაყოფი! აი ხანჯალი, რომელმაც განგმირა მამიშენის, ჩემის ძმის, გული! დეე ამავე ხანჯალმა განგმიროს შენის უბედურის დედის, ლეილას, გული! ვიდრე ალლაჰვერდი გონს მოვიდოდა და განძრევას მოასწრობდა, გულში ხანჯალ-გაყრილი ლეილა იატაკზედ დაეცა. „წყეული იყოს ღვინო!“—იყო ლეილას უკანასკნელი სიტყვები.

„ამის შემდეგ ალლაჰვერდი სადღაც გადიკარგა და კარგა ხანს არავინ იცოდა, სად იყო. ბოლოს გამოჩნდა, რომ ის შესულიყო სამსახურში გურჯის ძლიერ მეფესთან. გურჯების მეფეს მან ბევრი ფული მისცა და თავისთვის განჯის ხანობა აბოძებინა. რა მიიღო ხანობა, ბედისაგან კმაყოფილმა ალლაჰვერდიმ იწოდა სახელად მარტო შაჰ-ვერდი-ხან (მეფემ მომცა), რადგანაც ხანობა მისცა მეფემ“*).

მ. ილ. ჯაში

*) არ ვიცით, ეს ნაამბობი რამდენად მართალია, ხოლო ის-კი ვიცით, რომ შაჰვერდი მეფე ერეკლე II-ის თანამედროვე იყო. მაჰმად-ხანს უნდოდა განჯის ხანად დაესვა ფენე-ხანი (1750 წ.), ხოლო ერეკლეს დახმარებით განჯის ხანობა დაიმკვიდრა შაჰვერდიმ და ამისთვის მან აღუთქვა ერეკლეს წელიწადში ათასის თუმნის ხარკად ძლევა.

ი. ჯ.

# დაბა და სოფელი

**დ. ზუგდიდი.** ეს რამდენიმე კვირაა, რაც ბერძნებმა და სომხებმა დაიწყეს აქ აბრეშუმის თესლის შემოტანა. თითო კოლოფი (შიგ შვიდი მისხალი თესლია) გაიყიდა 1 მ. 60 კ.—2 მ. 20 კ. ასეთს საქონელს მცოდნე კაცი უნდა, რომ გაარჩიოს, რომელია კარგი და რომელი გლახა, აქ-კი ღმერთმა უწყის, როგორი გამოდგება ნასყიდი თესლი. წარსულ წლებში მთელს მაზრაში უფრო ნაკლებად ეკიდებოდნენ აბრეშუმის მოყვანას, მაგრამ ეს მეექვსე წელიწადია, რაც ყველანი გულ-მოდგინედ შეუდგნენ მეაბრეშუმეობას, რადგან მისმა ფასმა საკმაოდ დააკმაყოფილა ყველა მშრომელი. ბჟოლა (თუთის ხე) საკმაოა ყველასათვის; ვის ეზოშიაც წინად ხუთი ძირი არ იდგა, დღეს მას ათასობით აქვს მოშენებული. ვინც ნაღდ ფულად არ იყიდიან აბრეშუმის თესლს, შემდეგის პირობით იღებენ სოფლებში თესლის დამრიგებელ კომისიონერებისაგან: თუ წახდა თესლი და სიღი არ გამოდგა, კომმისიონერი არაფერს მოსთხოვს თესლის ამღებს, ხოლო თუ კარგი გამოდგა, ერთის კოლოფის თესლის ფასად უნდა აიღოს 15 გრ. უმი პარკი, რომელიც შეადგენს ფასად 4 მ. 50 კ.—6 მან., მაგრამ წრეულს სოფელში უმეტეს ნაწილად ნაღდ ფულად ჰყიდულობენ თესლს. ამისათვის მომეტებული თვალ-ყურის გდებაა საჭირო, რომ ხალხი არ მოსტყუვდეს. რაც აქამდის იყო, გარდა იმისა კიდევ ხუთი ფარდული შენდება აბრეშუმის პარკის მოსახარშად და გასახმობად. შარშან იმდენი იყო მოსავალი აბრეშუმისა, რომ მყიდველებს სავსე ჰქონდათ თავიანთი ფარდულები, ადგილი არა ჰქონდათ, ფასი დაუკლეს საქონელს; წრეულსკი საკმაოა ფარდულები, თუ მოსავალი იქმნა.

ზამთარი ჯერ ძლიერ სუსტი იყო აქეთ, მარტმა თუ არ გვიღალატა; ჯერ არც თოვლი გვინახავს წრეულს და არც ყინვა. ხანდახან აღმოსავლეთის ქარი შემოგვიტევდა, მაგრამ ისიც მცირე ხნობით. დაბლობ ადგილებში ხეები საკმაოდ ამწვანდა; ხეხილებმა კვირტი გამოაღო, აყვავილებას არა უკლია-რა. თბილის ზამთრის წყალობით შეშა საზოგადოდ ნაკლებ დაიხარჯა; აგრეთვე ნაკლებად გაიყიდა საზამთრო შალეულობა. სვანეთიდგან ჩამოსულმა სვანმა გვიამბო რომ სასტიკი ზამთარი არც ჩვენში ყოფილა ჯერ-ჯერობითაო.

ყელჭირვება არის აქა-იქ.

არ იქმნა, ქურდობას არ მოელო ბოლო; უფრო მეტად ცხენის პარვაა გახშირებული, რადგან მდინარე ენგური პატარაა და ქურდს ადვილად შეუძლიან გადასვლა. 21 თებერვალს ძლიერი დასავლეთის ქარი ამოვარდა, რომელმაც შავი ღრუბელი ამოიყოლია თან და კოკისპირული წვიმა დაიწყო.

ანტონ ზუგდიდელი

# რუსეთი

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ლაპარაკია ალძრული იმის შესახებ, რომ გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოებში დაწესებულ იქმნას ახალი თანამდებობა რევიზორ-ინსპექტორისა. ამ ინსპექტორს სასოფლო საკრედიტო დაწესებულებათა საქმეები ექმნება ჩაბარებული.

— იმავე გაზეთების სიტყვით, უმაღლესს მთავრობას განუზრახავს გადაათვალიეროს საკანონო დებულებანი საბაზრო და საიარმუკო ვაჭრობის შესახებ. აზრადა აქვთ დებულებანი იმ რიგად შესცვალონ, რომ უკედ მოეწყოს სოფლის ნაწარმოებთა ვაჭრობის საქმე.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ეპარქიებში დაარსებულ იქმნას საეპარქიო სასკოლო საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათ სამრევლოსაეკკლესიო და წერა-კითხვის სკოლების საჭიროებათათვის უნდა იზრუნონ.

— აზრადა აქვთ პეტერბურგში გამართონ ხოლმე სახელოსნო სკოლების მოსწავლეთა ნაწარმოებების დროგამოშვებით გამოფენანი. შარშან გამართეს ერთი ასეთი გამოფენა და საზოგადოებას ძალიან მოეწონა. არჩეულ ბიუროს უკვე მიენდო ამ გვარ გამოფენის წესების შემუშავება.

# უცხოეთი

**ინგლის ტრანსვაალის ომი.**

თუ როგორ გასჭირვებიათ ცხოვრება ლედისმიტში გამომწყვდეულ ჯარს და მცხოვრებთ, სანამ ამ ქალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული, ამის შესახებ აი რას იწერება ერთის ინგლისურის გაზეთის კორესპონდენტი:

„შეიძლება, ექვსი კვირის განმავლობაში კიდევ გავმაგრებოდით მტერს, მაგრამ დიდს განსაცდელში კი ვიმყოფებოდით. როცა ალყის შემორტყმა დაიწყო მტერმა, ქალაქში იყო 12,000 ჯარის-კაცი, 2000 მოქალაქე და შემთხვევით მოყოლილი და 4000 ადგილობრივი მკვიდრი. სალხის ასე შეჯგუფებამ გამოიწვია ათას გვარი სნეულება,—მუცლა, ციებ-ცხელება და სხ. 8000 ჯარის კაცი ერთი მეორეზედ ხდებოდა ავად და ყველა მათგანმა იგემა სავადმყოფოში წოლა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში სრულიად დამწყვდეული ვიყავით, შუა იანვრამდის ძლიერ ბევრი არ იხოცებოდა, მაგრამ ამის შემდეგ სიკვდილმა იმატა, რადგან სამკურნალო მასალა გამოგველია და ის წამლები, რომელიც ამ დროს ავადმყოფებმა გამოიარეს, ძნელი ასაწერია. ვინც ავად გახდებოდა, იმის მორჩენის იმედი აღარავის ჰქონდა, რადგან არავითარი საშვალება არ მოგვეპოვებოდა იმის მოსარჩენად. ცხენები შემცირებულ იქნა, რამდენათაც-კი შეიძლებოდა. ყოველდღე ჰხოცდნენ 30 ზებერ ცხენსა და ჯორს და იმათ ხორციდგან ამზადებდნენ სუფსა და მეხვას. შუა იანვრიდგან მოყოლებული თებერვლის გასვლამდე 200 ავადმყოფი დაიხოცა, საშვალების უქონლობის გამო; უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბატარეების ცხენები სულ დაიხოცა და ზარბაზნები მიტოვებული იყო სანგრებში, რადგან მათი გამოტანა ხელით არ შეიძლებოდა.

— იმის გამო, რომ ინგლისის ჯარმა ბევრი ზარბაზანი კერ დაატოვებინა ბურებს მაჟერფონტეინთან, აი რას ამბობენ გაზეთები:

„ეჭვალას უკვირს, რომ მადჟერსფონტეინიდგან უეცრად სადღაც გაჰქრა ბურების ზარბაზანი. ლორდი რობერტსი იუწყება, რომ პაარდებერგთან დავინარჩუნეთ კრუპის ოთხი და მაქსიმის ორი ზარბაზანიო. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, იქ სხვა ზარბაზნებიც უნდა ყოფილიყო. ზოგიერთმა კორესპონდენტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ, შეიძლება, ბურებმა მდინარე მოდერის ნაპირას მიწაში ჩაჰფლეს თავიანთი ზარბაზნები და შემდეგ დაიწყეს ალმოსავლეთისაკენ. მაგრამ ბევრი იქაური მცხოვრები, რომელთაც კარგად იციან ხსენებულ ადგილის ვითარება, ასე ჰფიქრობენ, რომ ზარბაზნები, უთუოდ, დამალულია გამოქვაბულებში, რომელთა რიცხვი ცოტა არ არის მოდერის ნაპირებზედა“.

## დამავიწყდა

ნუ გინდათ საქმე პატივ-მოყვარე მწყრწნელისა და გუგუნა კაცისა: ამასთანამ, არ იქნება, არ მოგაყივლოსთ.

ლაჰურიძე.

* * *

მარცვა ორნაირია, ერთი ღამით უცებ, იარაღით ხელში, მეორე დღისით სისტემატიურად, ჭკუით თავში. პირველი კატორგას უწერს, მეორე პატივსა. მსაჯულები-კი ერთნი არიან!..

ს. ყ—ნი

* * *

მითხარი ვისა ჰკიცხავ და გეტყვი: შენ ვინა ხარ?

ს. ყ—ნი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დღემდის ჰფიქრობდნენ, რომ ჭადრაკი ძველ ინდოელების გამოგონილიაო; ინდოეთიდგან ჭადრაკის თამაშობა სპარსეთში გავრცელდაო; ხოლო აქედგან არაბებმა და ჯვაროსანთ ევროპაში გადაიტანესო. როგორც ეხლა აღმოჩნდა, ჭადრაკის თამაშობა ეგვიპტეშიაც სცოდნიათ ჯერ ისევ 5000 წლის წინად. ერთს არქეოლოგს ამას წინად ეგვიპტეში, მეფე ტატუს ან ტეტის პირამიდის ჩრდილოეთით, უნახავს ორი კარგად მოწყობილი საფლავი, როგორც ზედ წარწერებიდგანა სჩანს, საფლავები ეკუთვნისა ზემოხსენებულ მეფის ტატუს მახლობელთ. ერთის საფლავზედ მთელი ხუთი ოთახი აგებული. კედლები ამ ოთახებისა სურათები არის აჭრელებული. სხვათა შორის, ერთ ადგილას ორი მამაკაცია დახატული, რომელნიც ჭადრაკს თამაშობენ. ფარაონი ტატუ მეექვსე დინასტიას ეკუთვნოდა. ლეპსიუსის აზრით, ეს ფარაონი მეფობდა 2700 წელს ქრისტეს წინად, ხოლო ბრუგშ-ბეის აზრით—3300 წელს. ამრიგად, ჭადრაკის თამაშობა ეგვიპტეში 5200 წლის წინად სცოდნიათ. შეიძლება ჭადრაკი პირველად ეგვიპტეში გამოიგონეს და იქიდგან ინდოეთში გადავიდა.

* * *

თუ რამდენად აინტერესებს ყველას ინგლისს-ტრანსვაალის ომი, სჩანს შემდეგის მაგალითიდგან. როსტოვში, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, 13 თებერვალს ერთ ქუჩაზედ აურაცხელი ხალხი შეკრებილა. ამ ქუჩაზედ საქანელები ყოფილა გამართული. 300 კაცი იქვე მოედანზედ გასულა, ორად გაყოფილან და „ომი“ გაუმართავთ. ერთ მხარეს „ბურები“ დამდგარან, მეორე მხარეს—„ინგლისელნი“. შუა ბრძოლის დროს პოლიცია მისულა მეომართა გასარეკად. ამ დროს ვიღაცას დაუძახნია, აგერ ნამდვილი ინგლისელნი მოდიან, არიქა ბიჭებო, გავედევნოთო, ამ სიტყვებზედ მოწინააღმდეგენი შეერთებულან და იერიში მიუტანიათ პოლიციაზედ. „დაუშინეთ ყუმბარები“, დასძახოდნენ „ბურები“ ქვებს ზუზუნი გაჰქონდა პოლიციელებისაკენ. პოლიცია ვერ გაუმაგრდა ძლიერ მოწინააღმდეგეს და უკუ იქცა. გამარჯვებულნი „გაუმარჯოს კრიუგერის;“ ძახილით საქანელებისაკენ გასწიეს. ამ „ბრძოლის“ დროს რამდენიმე კაცი დაჭრილა.

* * *

ამას წინად ინგლისში ქ. ნიუპორტის ერთის სკოლის პატარა მოსწავლეს სადღაც წაუკითხნია, რომ ინგლისის მეურნეობის სამინისტრო უსასყიდლოდ უგზავნის მსურველთ წიგნაკებს, რომლებშიაც აწერილია ის, თუ რა ზომები უნდა იქმნას მიღებული იმ სხვა და სხვა სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მწერების წყალობით ვრცელდება. ცნობის მოყვარე ბავშვს მაშინვე წერილი გაუგზავნია სამინისტროში და უთხოვნია, გამამიგზავნეთ წიგნაკიო. სამინისტროს, რომელმაც არ უწყოდა, ვინ იყო მთხოვნელი, იმ წამსვე დაუკმაყოფილებია ბავშვის თხოვნა. ოთხის თუ ხუთის დღის შემდეგ მოსწავლეს მიუღია დიდი კონვერტი სამინისტროს ბეჭედ დასმული. კონვერტში წიგნაკი იყო თურმე. გახარებულ ბავშვს წიგნაკი და კონვერტი თავისს ამხანაგებისათვის უჩვენებია და მეორე დღეს ყველა ამათაც წერილები გაუგზავნიათ სამინისტროში. მალე სხვა სკოლის მოსწავლეებსაც შეუტყვიათ და იმათაც ამ გვარის თხოვნით მიუმართავთ სამინისტროსათვის. სამინისტროში დილით-საღამომდე ვერ ასდიოდნენ თურმე ამ თხოვნების დაკმაყოფილებას. ბოლოს ნაუპორტში მოხელე გაუგზავნიათ სამინისტროდგან ეგრე უცბად გავრცელებულის სენის გამოსაკვლევად და მხოლოდ ამის შემდეგ გაუგიათ ყველაფერი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 თებერვალი

**დრიტფონტეინი.** ბროდვუდის ცხენოსანი ბრიგადა ბლუმფონტეინის გზაზედ შეეხლა ბურების ჯარს, რომელთაც მკვიდრი სიმაგრე ეჭირათ გორებზედ დრიტფონტეინთან. როდესაც კელლი-კენნის დივიზია მიუახლოვდა, ბრძოლა გაცხოველდა. ბურები მამაცად იგერიებდნენ მტერს, მაგრამ მაინც იძულებულნი იყვნენ სიმაგრე დაეტოვებინათ ბრძოლის შუაგულს ადგილას.

**ჯემსტოუნი.** ბრაბანტის რაზმი ალივალ-ნორტისაკენ გადავიდა.

**ლონდონი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ორშაბათს ინგლისის მთავრობამ ხუთი დეპეშა მიიღო ჰოლანდიურ ენაზედ კრიუგერისა და შტეინისაგან, რომელნიც კითხულობენ, რა პირობით შეიძლება ომის მოსპობაო.

**ბრიუსელი.** გაზეთმა „Petit Bleu“-მ გამოაქვეყნა ლონდონიდგან მიღებული დეპეშა, რომელიც ამართლებს იმ ხმას, რომ კრიუგერმა და შტეინმა ინგლისის მთავრობას დეპეშები მისწერეს და სთხოვეს ზავის შეკვრას იმ პირობით კი, რომ ორსავე რესპუბლიკას დამოუკიდებლობა შერჩესო. ოთხშაბათს, დილით, ორსავე პრეზიდენტს პასუხი გაეგზავნა ინგლისის მთავრობისაგან. პასუხში ნათქვამია, რომ მორიგება შეუძლებელია და ერთად-ერთი პირობა, რომლითაც ზავი შეიძლება დაიდოს, ის არის, რომ ყოველისავე პირობების დაუდებლად დაგვმორჩილდეთო.

28 თებერვალი

**დურბანი.** გაზეთი „Natal Mercury“—მა გრაიტაუნიდგან დეპეშა მიიღო, რომელიც იუწყება, რომ 25 თებერვალს ცხენოსანთა რაზმი პომეროსთან მტერს შეჰხვდაო. მოწინააღმდეგეთ ერთმანეთს თოფების სროლა დაუწყეს. რადგანაც ინგლისის რაზმი უარტილერიოთ იყო, ამიტომ ვერ შესძლო მტრის პოზიციიდგან განდევნა. რაზმმა უკან დაიწია და ტუგელის მხრეთით წავიდა. ერთია კაცი დაჭრილია.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ს დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდგან 26 თებერვალს, რომ გუშინ უცხო სახელმწიფოთა ელჩები საპატიოდ იქმნენ მიწვეულნიო. ელჩებს სთხოვეს სახელმწიფოთა შუამდგომლობის შესახებ, რომ სისხლის ღვრა შეჩერებულ იქმნას.

**დრიფტონტეინი.** გუშინდელს ბრძოლაში ბევრგან ავსტრალიელმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა. ბრძოლა ცხარე იყო. როდესაც მტერი გაიქცა, ავსტრალიელი ცხენოსანნი დაედევნენ.

**ლონდონი.** დურბანიდგან გაზეთები იუწყებიან, რომ წარსულ კვირას პორტუგალიის მოხელეებმა დააპატიმრეს ლორენცო-მარკეზში ოთხი გერმანელი აფიცერი, რომელნიც პრეტორიაში მიდიოდნენ. ამ აფიცრების ბარგში იპოვნეს თოფები და სომარი მასალა.

„Daily News“ ატყობინებენ ბრიტსტოუნიდგან 25 თებერვალს: ბრიტანიის ჯარი სამშაბათს მთელი დღის განმავლობაში ებრძოდა მეამბოხეთ და ოთხშაბათს დაბრუნდა აქ. ბრიტანელებს დაეხოცათ 14 კაცი და უგზო-უკვლოდ დაჰკარგეს 9, მეამბოხეთა მხრივ 5 კაცია მოკლული და რამდენიმე დაჭრილი. მეამბოხეებმა დასცალეს გოუუტერი და პრიესკისაკენ დაიწიეს.

იმავე გაზეთს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან 27 თებერვალს: „რობერტსმა განაგრძო დღეს გალაშქრება აასფოგელსკოპიდან ჩრდილოეთისაკენ და გზაში ბურები არ დახვედრიან. ბრიტანიის ჯარები სულ 25 მილის სიშორეზე იმყოფებიან ბლუმფონტეინიდგან.

„Times“ აუწყებენ გონკონგიდგან, საფრანგეთის მოხელეებმა დაამთავრეს მიჯნის გაყვანა საფრანგეთის სამფლობელოსა და მახლობელ პროვინციებს შორისო. იანაანფუს იქით მდინარე კანტონზე ჯერ კიდევ გავრცელებულია ავაზაკობა. ვაჭრების წარმომადგენელნი გონკონგში თხოულობენ უფრო გულმოდგინე ღონისძიებას.

**ნიუ იორკი.** „World“ დეპეშით აუწყებენ ვაშინგტონიდგან: „ჰოლანდიის აქაურმა ელჩმა ბეკერლინგმა განაცხადა, რომ არა ვიცი-რა, ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებობს თუ არ მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკის საქმეებში ჩარევის შესახებ. სამწუხაროდ, საქმე ისეთს მდგომარეობაშია, რომ, უთუოდ, არც ერთს ევროპის სახელმწიფოს არ შეუძლიან მიუდგეს ინგლისს, თუ უარის თქმის შიში ექმნება. თუ რომ რომელიმე სახელმწიფო, რომელსაც მეგობრული განწყობილება აქვს ინგლისთან, მოლაპარაკებას დაიწყებს და ამით გზას გაჰკაფავს, ბეკერლინის აზრით, ევროპის ყველა სახელმწიფო მას მხარს დაუჭერს“.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა იმპერატრიცებმა მარიამ თეოდორეს-ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, დიდმა მთავრებმა და მთავრინებმა 28 თებერვალს დაათვალიერეს პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების სამხატვრო გამოფენა.

**კაპშტადტი.** როგორც ლედიბრენდისა, გერშელსა და ალივალნორტიდგან მოსულ ამბებიდგანა სჩანს, მეამბოხენი იარაღსა და ომს თავს ანებებენ და საზღვრებზედ მყოფი ბურები დიდს გაჭირვებაში არიანო.

გერშელიდგან იუწყებიან, რომ ალივალნორტში დაიჭირეს ინგლისელების მომხრე ლანდდროსტი და სატუსაღოში დაატუსაღეს.

**ბარკლიისტი.** ალივალნორტში ბურები ბრძოლას თავს ანებებენ და თავიანთ ფერმებში ბრუნდებიან.

ლედი-სმიტიდგან იუწყებიან, რომ ვანდერვალდტის ფერმასთან ბრძოლა მოხდაო. ამ ბრძოლაში მრავალი მეამბოხე მოკლულ და დაჭრილ იქმნა. როგორც ისმის, 1000 მეამბოხეს აზრადა აქვთ დაემორჩილონ ბურებს. ბურების ერთმა რაზმმა საღგური ალბერტი დაიჭირა; სხვა რაზმები ალივალნორტისაკენ მიდიან, სადაც აზრადა აქვთ წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელებს. ბევრმა მეამბოხემ თავი მიანება ბრძოლას ორანჟეს რესპუბლიკაში.

**ლონდონი.** „Times-ს“ დეპეშით აუწყებენ ლორენცო-მარკეზიდგან 26 თებერვალს, რომ ტრანსვაალიდგან მრავალი უცხოელთა ბრბო მოდის, რადგან, ამას წინად მომხდარ ამბის გამო, იქ შიშობენო. მთა-მადნების მუშები ამბობენ, რომ მთავრობის მოხელენი და სხვები აშკარად აცხადებენ, რომ დაქცეული იქმნება უმთავრესი მადნეთი და საუკეთესო შენობები იოჰანესბურგშიო.

28 თებერვალი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭომ შეუდგა ახალ სადამოჟნო წესდების განხილვას. ამ ახალ წესდებიდგან გამოკლებული იქმნება ყველა ის, რაც აწ არსებულ წესდებით აფერხებს უცხო ქვეყნებიდგან საქონლის შემოტანის საქმეს.

საჭიროდ ცნობილ იქმნა დაწესდეს შინაგან საქმეთა მინისტრის მესამე ამხანაგის თანამდებობა.

ლონდონი. ადგილობრივ წრეებში, რომელთაც საქმის ვითარება კარგად უწყიან, დარწმუნებულნი არიან, რომ ტრანსვაალის მთავრობამ ამას წინად ინგლისის მთავრობას წინადადება გამოუგზავნა, მაგრამ არ იციან, რას თხოულობენ ამ წინადადებაში. ოფიციალურ ადგილებში შეუძლებელია ნამდვილის ცნობის მიღება იმის შესახებაც-კი, მიიღო თუ არა მთავრობამ ასეთი წინადადება. ის ამბავი, ვითომ მინისტრთა საბჭომ წარსულ კვირაში ეს საგანი განიხილაო, სიმართლეს მოკლებულია.

ლორენცო-მარკეზ. ორანჟეს რესპუბლიკის აღმასრულებელ საბჭოს წევრი ფიშერი და ტრანსვაალის რესპუბლიკის აღმასრულებელ საბჭოს წევრი ვოლმარასი აქ მოვიდნენ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. გარრი ფოსტერი შეეკითხა ბალფურს, შეუძლიან თუ არა მას აუწყოს პალატას, ისე კი, რომ საზოგადო ინტერესებს არ შეეხოს, ის პირობები, რა პირობებითაც მთავრობა თანახმა იქმნება შეუდგეს სამშვიდობო წინადადებათა განხილვას (მთავრობის მომხრენი წინააღმდეგობას აცხადებენ). ბალფურმა მიუგო, რომ ეგ ეხლა შეუძლებელია, მაგრამ ახლო მომავალში პალატას წარედგინება საბუთები ამ საქმის შესახებაო. დალზიელი შეეკითხა მთავრობას: მართალია თუ არა ის ცნობა, რომ კრიუგერმა ინგლისის მთავრობას წინადადება გამოუგზავნაო? ბალფურმა განაცხადა, უკვე ვსთქვი, რომ პალატას ახლო მომავალში წარედგინება საბუთები.

ვაშინგტონი. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეერთებულმა შტატებმა წინადადება მისცა მეომარ სახელმწიფოებს დახმარება და სამსახური გაუწიოს მათ. ამ ჟამად საქმე ჯერ კიდევ შუამავლობას არ შეეხება. ინგლისი წინააღმდეგია ამისა და შეერთებულ შტატებს არ შეუძლიან ასეთის წინადადებით მიჰმართოს, ვიდრე არ შეიტყობს, რომ წინადადებას ორივე მეომარი მხარე შეიწყნარებს. მაგრამ შეერთებულ შტატებს შეუძლიან იმის შუამდგომლობა გასწიოს, რომ ზავის შესახებ ლაპარაკი იქმნას ჩამოგდებული, ან შეეკითხოს მეომარ სახელმწიფოთ იმ პირობათა შესახებ, რა პირობებითაც ეძლებაზავი იქმნას ჩამოგდებული.

პარიჟი. კალიოს პროექტით შემოსავლის კვალობაზედ დადებული გადასახადი უნდა გაეწეროს უძრავ და მოძრავ საკუთრებას, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათ, ლიბერალურ პროფესიებს, საზოგადო თანამდებობათ და სხვას. გადასახადის რაოდენობა $4\%$-ია. იმ უცხო-ქვეყნელთ, რომელნიც საფრანგეთში ერთ წელზედ ნაკლებ იცხოვრებენ და რომელნიც თავიანთ შემოსავალს საფრანგეთის გარეშედან მიიღებენ, გადასახადი არ გაეწერებათ. შემოსავლის რაოდენობის აღსანიშნავად მიღებული იქმნება სადგომის ქირის რაოდენობა.

კოლსბერგი. ხიდი ორანჟეს მდინარეზედ ბურებმა დააქციეს.

ლონდონი. ოფიციალური. რობერტსი აასფოგელსკოპიდგან იუწყება, რომ წინწაწევის დროს არავითარ წინააღმდეგობას არ შევხვედრივართო.

ამსტერდამი. გაზეთიდგან, სარწმუნო წყაროებიდგან, იუწყებიან, რომ კრიუგერმა დიდ სახელმწიფოთ მიჰმართა და შუამავლობა სთხოვაო.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „ქართლის ცხოვრება“ წიგნი მესამე, ე. ი. „ქართლის ცხოვრების“ დასასრული, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნი იწყება გიორგი ბრწყინვალის ცხოვრების აღწერით, თავდება სიმონ მეფის ცხოვრების აღწერით, ანუ მე-XV საუკუნის პირველ წლებით. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, სუფთად არის გამოცემული და ჰღირს 40 კაპ.

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ 10 მარტს ამა 1900 წლისას იმის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ზომით 450 ოთხკუთხი საჟენი. საზღვრები ამ მიწისა: ჩრდილოეთით — მუშტაიდის ვიწრო ქუჩა, აღმოსავლეთით—ანდრეევის ქუჩის გაგრძელება, სამხრეთით—ქალაქის მიწა, რომელიც ხეჩიკოვს აქვს იჯარით, და დასავლეთით—ქალაქის მიწა, ხეტყის საწყობი.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—ნ.—1)



სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე